ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №172731

ნომერი: AR149912

თარიღი : 11.05.2012

გაცემის თარიღი : 18.05.2012

გაცნობის თარიღი : 21.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბულაჩაური , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო სარია პ/ნ 51001000417
- თბილისი წყალტუბოს ქ. N 3 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1."განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე", საკადასტრო კოდში მიუთითეთ სარეკლამო აბრის განთავსების ადგილის ფართის საკუთრების მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა აღნიშნილიდან გამომდინარე განცხადებით უნდა მოგვმართოს გიორგი ჯაბიშვილმა ან მისმა მინდობილმა პირმა ანდრო ჯაბიშვილმა, ასევე შესაძლებელია მოგვმართოს სს,,თიბისი ლიზინგი,,–ს უფლებამოსილმა პირმა ან უნდა წარმოადგინოთ ამ პირების მიერ ერთ–ერთის უფლებამოსილების დოკუმენტი აღნიშნულ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით(მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში);

3. საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა -> ამ ველში უნდა ატვირთოთ თქვენს მიერ ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული ფართის მესაკუთრის თანხმობის დოკუმენტი;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.